


შპს არსი (კოლეჯი)



დამტკიცებულია:

შპს არსის დირექტორი:

ნ.ნოზაძე:

N 1- 10 /10.02.2023

პროფესიული მომზადების პროგრამა

სალაროს ოპერაციების განხორციელება / Cashbox operations carrying out

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: სალაროს ოპერაციების განხორციელება / Cashbox operations carrying out
პროგრამის სახე: <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input checked="" type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 სთ
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური ----8---- მაქსიმალური ----15-----

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება // აპლიკანტთა შერჩევის ფორმა : გასაუბრება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის - "სალაროს ოპერაციების განხორციელება" - მიზანია კურსდამთავრებულმა შეძლოს სალაროს ოპერაციების განხორციელება - სალაროს გახსნის პროცედურების განსაზღვრა; სალაროს ნაშთის გამოყვანა' სალარო დახურვისა და კონტროლის პროცედურების განხორციელება; სალაროს საბუთების შექმნა; ეროვნული და უცხოური ვალუტის მახასიებლებების განსაზღვრა.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

შედეგი 2 - სხვადასხვა ემისიის ეროვნული და უცხოური ვალუტის ბანკნოტების, მათი ნამდვილობის დადგენის საშუალებებისა და მეთოდების დახასიათება (მოდული ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები -0411703); შედეგი 1 - ფულის წარმოშობის, განვითარების ეტაპებისა და ყალბი ფულის წარმოშობის გარემოებების, მისი გავრცელების ტენდენციების აღწერა (მოდული ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები - 0411703) შედეგი - 3 სალაროს ნაშთის კონტროლის განხორციელება (მოდული სალაროს ოპერაციების განხორციელება 0411708); შედეგი -1 სალაროს პროცედურების განხორციელების აღწერა (მოდული სალაროს ოპერაციების განხორციელება 0411708); შედეგი - 5 ინკასაციის განხორციელება (მოდული სალაროს ოპერაციების განხორციელება 0411708); შედეგი - 2 სალაროს გახსნა (მოდული სალაროს ოპერაციების განხორციელება 0411708) შედეგი - 4 სალაროს დახურვა (მოდული სალაროს ოპერაციების განხორციელება 0411708);

პროგრამის შემუშავების საფუძველი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - საფინანსო სერვისები / Finance services/ 2. სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები- 1."სალაროს ოპერაციების განხორციელება"-0411708; 2. მოდული "ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები"- 0411703;,, სწავლის შედეგები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროფესიული მომზადების პროგრამა "სალაროს ოპერაციების განხორციელება"

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამა- "სალაროს ოპერაციების განხორციელება" - განკუთვნილია პირებისათვის, რომლებიც ფლობენ საბაზო განათლებას (ასაკობრივი შეზღუდვით- მინიმუმ 17 წელი) და სურთ სალაროს ოპერაციების პროცედურების დაუფლება; პროგრამის ხანგრძლივობაა 8 სასწავლო კვირა, ხოლო მოცულობა- 120 საათი; სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „არსის“ /კოლეჯი/ კომპიუტერებით აღჭურვილ გარემოში, სადაც მიმდინარეობს "სალაროს ოპერაციების განხორციელების" პროგრამისთვის გაწერილი კრიტერიუმების ათვისება; მსმენელთა განმავითარებელი შეფასება ტარდება სწავლების პარალელურად; ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ტარდება სწავლების ბოლო - მე-8 კვირას გამოკითხვითა და პრაქტიკული დავალების შესრულებით; შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი არ დადასტურდა. მსმენელი, რომელიც პირველ ცდაზე ვერ დაადასტურებს შედეგს, უფლება აქვს მოითხოვოს განმეორებით შეფასება; განმეორებითი შეფასება ტარდება პირველადი შეფასების ჩატარების თარიღიდან არაუგვიანეს 10 დღისა. განმსაზღვრელი შეფასების დადასტურების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს.